ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 11

29 ი ა ნ ვ ა რ ი

"---"-------- 2016 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №15-ში მდებარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ №01.14.14.011.013.01.013) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-3 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N#21-85 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების და მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 13 იანვრის №02.25.49 განკარგულების შესაბამისად, განახორციელოს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №15-ში მდებარე 170,84 კვ.მ. ფართის ბინა №13 (მე-6 სართული) (ს/კ №01.14.14.011.013.01.013) პირდაპირი განკარგვის ფორმით რატი ენუქიძისთვის (პ/ნ №18001059423) საკუთრებაში გადაცემა, მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობებით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ტყემალაძე